ფინანსთა
სამინისტრო

გორგასლის ქუჩა N16
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 226 14 44
info@mof.ge

23 აგვისტო 2023

N 04-02/67946

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროს

თქვენი მიმდინარე წლის 18 აგვისტოს N18/7737 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თანახმაა „სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარება“ პროგრამის ფარგლებში სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ:

ბორჯომის მუნიციპალიტეტში დაბა ბაკურიანსა და მიმდებარე დასახლებების გეგმარებითი ერთეულის სივრცის დაგეგმარების გეგმის შემუშავების, ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის და დიდი მიტარბის განვითარებისთვის ქალაქთმშენებლობითი გეგმების რევიზიის, შეფასების სამუშაოების შესრულების საპროექტო მომსახურების (CPV კოდი - 71410000) შესყიდვის დასაფინანსებლად 2023 წელს გათვალისწინებულია 520 000 ლარი, 2024 წელს გათვალისწინებული იქნება 650 000 ლარი, ხოლო 2025 წელს - 130 000 ლარი;

ქალაქი ოზურგეთის გენერალური გეგმის მოსამზადებელი სამუშაოების საპროექტო მომსახურების (CPV კოდი - 71410000) შესყიდვის დასაფინანსებლად 2023 წელს გათვალისწინებულია 172 000 ლარი, ხოლო 2024 წელს გათვალისწინებული იქნება 258 000 ლარი;

ქალაქ ახალციხის გენერალური გეგმის მოსამზადებელი სამუშაოების საპროექტო მომსახურების (CPV კოდი - 71410000) შესყიდვის დასაფინანსებლად 2023 წელს გათვალისწინებულია 152 000 ლარი, ხოლო 2024 წელს გათვალისწინებული იქნება 228 000 ლარი.

გიორგი კაკაურიძე

მინისტრის პირველი მოადგილე

https://edoc.mof.ge/public/#/67946-04-02-2-202308231012

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE